

სახაზინო სამსახურის

ინფორმაცია

საქართველოს 2011 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2011 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 2 379 035.4 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 144 178.4 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 32 664.9 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 14 516.3 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით – 187 675.8 ათასი ლარი.

2011 წლის იანვარ-აპრილში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (2 144 178.4 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (3 060 383.1 ათასი ლარი) 70.1%-ი;

მათ შორის:

– გადასახდელების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 779 928.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 930 819.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 69.5%;

– გრანტების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 154 456.9 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 117 309.8 ათასი ლარი. მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 102 373.1 ათასი ლარი;

– 911.3 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე 2010 წელს დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 12 066.7 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 1 691.5 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)” – 203.4 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” – 142.5 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” – 590.5 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” – 75.9 ათასი ლარი; „გადაუდებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი” – 361.6 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 317.6 ათასი ლარი.

ამასთანავე, 267.2 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიან ანგარიშზე („გადაუღებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი“) დაშვებული ოვერდრაფტის დასაფარავად.

„სხვა შემოსავლების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 125 997.4 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 96 049.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 76.2%.

2011 წლის იანვარ-აპრილში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (32 664.9 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (41 000.0 ათასი ლარი) 79.7%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (14 516.3 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (21 492.0 ათასი ლარი) 67.5%.

„ვალდებულებების“ ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა – 187 675.8 ათასი ლარი, მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 17 278.2 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 170397.6 ათასი ლარი; მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტებით – 92962.8 ათასი ლარი; შემოსულობა ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა – 77 434.8 ათასი ლარი;

– 1 808.1 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიან ანგარიშზე 2010 წელს დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 60 728.6 ათასი ლარი, მათ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)” – 163.7 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” – 126.9 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 4 822.7 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი” – 1 313.3 ათასი ლარი; “მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი” – 694.9 ათასი ლარი; „ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი” – 881.6 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – მეორე ფაზა” – 3 046.4 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” – 641.0 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი” – 29.8 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე (სვანეთი-რუისი) პროექტი” – 29 698.7 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი მეორე (იგოეთი-სვანეთი) პროექტი” – 1 034.9 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება” – 7 425.0 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა” – 109.5 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი პირველი (ალაიანი-იგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია)” – 292.9 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” – 845.7 ათასი ლარი; „ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა” – 15.3 ათასი ლარი; „მდგრადი ურბანული განვითარების საინვესტიციო პროგრამა” – 4 567.8 ათასი ლარი; „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი” – 2 118.9 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია” – 2 899.6 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული ინვესტიციური კრედიტების მოცულობამ შეადგინა სულ 30425.9 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 89 259.4 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 10 621.9 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №1000 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში აისახება “საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ: “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი გრანტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)” – 89.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი გრანტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” – 255.4 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 441.8 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” გრანტი 181.0 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” გრანტი – 327.5 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი” გრანტი – 153.8 ათასი ლარი; „გადაუდებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი” გრანტი – 364.7 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი” კრედიტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” კრედიტი – 210.0 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” კრედიტი – 1 029.8 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი პირველი (აღაიანი-იგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია)” კრედიტი – 337.0 ათასი ლარი; „ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი” კრედიტი – 2 205.2 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი მეორე (იგოეთი-სვანეთი)” კრედიტი – 1 060.6 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე (სვანეთი-რუისი)” კრედიტი – 21 737.4 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” კრედიტი – 5 499.0 ათასი ლარი; „მდგრადი ურბანული განვითარების საინვესტიციო პროგრამა” კრედიტი – 15 369.7 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა” კრედიტი – 1 103.7 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი” კრედიტი – 1 726.5 ათასი ლარი; „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი” კრედიტი – 15 649.1 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია” კრედიტი – 5 063.2 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება” კრედიტი – 5 833.1 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების

განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, ინფორმაცია სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სსიპ-ებს აპრილის თვეში არცერთ პროექტზე არ წარმოუდგენიათ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2011 წლის იანვარ-აპრილში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 983.7 ათასი ლარი.

წინა წლების გამოყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 4 836.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2011 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 488 253.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 478 864.3 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 587.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 8 801.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2011 წლის 1 მაისისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 630 935.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 897.3 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 425.0 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 8 613.5 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 142 682.7 ათასი ლარი.

2011 წლის 1 მაისის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 192.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2011 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 144 178.5 ათასი ლარის მოცულობით, (გეგმა – 3 060 383.1 ათასი ლარი); ხარჯმა შეადგინა 1 853 260.4 ათასი ლარი (გეგმა – 3 039 111.8 ათასი ლარი); საოპერაციო სალდო განისაზღვრა 21 271.3 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 290 918.1) ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 525 924.1 ათასი

ლარით, ფაქტიური შესრულება – 261 661.7 ათასი ლარი. მათ შორის: არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვრა 41 000.0 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება – 32 664.9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 566 924.1 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება – 294 326.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი საღებო განისაზღვრა –504 652.8 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 29 256.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2011 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 3 785 535.5 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 3 378 126.1 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 407 409.4 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 2 730 994.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 2 244 971.9 ათასი ლარი, გადახდამ – 2 241 420.1 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 2 041 137.0 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 200 283.1 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 82.1%, ხოლო გეგმის 59.2%-ს შეადგენს. საგადახდო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 3 551.8 ათასი ლარი. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2011 წლის იანვარ-აპრილის მთლიან ხარჯებში შეადგინა 91.1%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 8.9%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 513 730.5 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 436 064.9 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 324 137.7 ათასი ლარი, გადახდამ 323 831.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 74.3%-ს და საგეგმო მაჩვენებლის

63%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 306.2 ათასი ლარი.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 466 843.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 341 321.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 288 454.6 ათასი ლარი, გადახდამ – 287 509.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 84.2%-ს და საგეგმო მაჩვენებლის – 61.6%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 945.1 ათასი ლარი.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 191 903.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 151 689.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 132 571.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 87.4%-ს და გეგმის – 69.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 30 521.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (49 639.2 ათასი ლარი) 61.5%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 102 049.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (102 049.9 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2011 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 124 935.3 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 77 430.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 59 081.9 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 58 916.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 76.1%-ს და გეგმის 47.2%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 165.9 ათასი ლარი.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2011 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 509 351.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 296 580.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (348 638.8 ათასი ლარი) 85.1%-ს და საგეგმო მაჩვენებლის (509 351.6 ათასი ლარი) 58.2%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2011 წლის იანვარ-აპრილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 289 694.7 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (341 321.0 ათასი ლარი) 84.9%-ია.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2011 წლის იანვარ-აპრილში მოთხოვნამ შეადგინა 524 772.7 ათასი ლარი, გადახდამ – 524 678.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (707 434.4 ათასი ლარი) 74.2%-ს და საგეგმო პარამეტრის (786 487.8 ათასი ლარი) 66.7%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 94.0 ათასი ლარი.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის ექვსი თვის გეგმით განესაზღვრა 102 704.7 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 69 887.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 68%-ია. საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 315 233.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (459 136.1 ათასი ლარი) და გეგმის (459 136.1 ათასი ლარი) 68.7%-ია. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 151 802.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 83 157.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (151 802.8 ათასი ლარი) 54.7% და ვალდებულების (85 812.9 ათასი ლარი) 96.8%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2011 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 445 859.5 ათასი ლარით, იანვარ-აპრილში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 249 023.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 230 150.1 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 229 169.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92%-ს და გეგმის 51.4%-ს შეადგენს.

საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 980.3 ათასი ლარი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 173 675.9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 190 211.4 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2011 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 196 401.4 ათასი ლარი. გადახდამ შეადგინა ვალდებულების 91.3% და საგეგმო მაჩვენებლის – 88.4%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2011 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 566 924.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 313 468.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 295 386.9 ათასი ლარი, გადახდამ – 294 326.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.9%-ს და გეგმის 51.9%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 1 060.3 ათასი ლარი.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 217 096.3 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 153 733.2 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (149 035.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 96.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 68.6%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციის“ შესაბამისად 2011 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 98 227.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 59 051.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 59 024.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 60.1%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 81 272.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 46 871.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 34 811.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 74.3%-ს და გეგმის – 42.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 20 186.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (20 186.6 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 14 624.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (26 685.2 ათასი ლარი) 54.8%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების საგეგმო მაჩვენებელს გრანტების კუთხით აღემატებოდა: საქართველოს პარლამენტის პროექტი „ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში (UNDP) (კოდი 01 05 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 24.9 ათასი ლარი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროექტი „დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება სამართლიანი საარჩევნო პროცესებისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობისათვის“ (კოდი 06 05 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 378.0 ათასი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი, (კოდი 23 02 11 01 მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 6 098.7 ათასი ლარი; „ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტი (კოდი 23 02 11 02, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 8 158.8 ათასი ლარი; „საწარმოთა განვითარების პროექტი“ (კოდი 23 02 11 03, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 9 140.9 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტი: „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (გზების რეაბილიტაციის პროექტი)“ (კოდი 25 04 02 01, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 24 096.3 ათასი ლარი; ადგილობრივი მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა (კოდი 25 07 02, მუხლი „სუბსიდიები“) – 8.6

ათასი ლარი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტი “ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა (kfw)” (კოდი 35 20 04, მუხლი „სუბსიდიები“) – 14.4 ათასი ლარი.

დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების საგეგმო მაჩვენებელს კრედიტების კუთხით აღემატებოდა: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტი: „ქობულეთის წყალარინების პროექტი“ (კოდი 25 05 05 04, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 36.7 ათასი ლარი; საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროექტები: „რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – პროექტი პირველი (ალავერდი) (კოდი 36 06 02, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 4 125.6 ათასი ლარი; „ელექტრომომარაგების სექტორის პროგრამა“ (კოდი 36 06 03, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 1 809. ათასი ლარი; „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი“ (კოდი 36 06 10, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 240.0 ათასი ლარი.

ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეული ხარჯმა, მომავალში მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 4 382.1 ათასი ლარი. მათ შორის:

- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – მეორე ფაზა“ – 1 875.5 ათასი ლარი;
- „გადაუდებელი მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტი“ – 231.2 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომანქანების ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია“ – 2 275.4 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2011 წლის 1 მაისისთვის შეადგინა 34.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი სამინისტროების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2011 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 2 147 583.7 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 553 982.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებელის (975 571.7 ათასი ლარი) 56.8%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ზვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 89 014.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (223 681.5 ათასი ლარი) 39.8% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 16.1%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 135 514.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (195 027.3 ათასი ლარი) 69.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 24.5%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა

დონეებს შორის შეადგინა 289 082.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (498 244.6 ათასი ლარი) 58.0%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 4 143.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8 276.6 ათასი ლარი) 50.1%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 337 752.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 233 314.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.9%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 402 831.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 224 476.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 55.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.5%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 16 184.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 126.0 ათასი ლარი) 64.4%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 158 060.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (298 416.6 ათასი ლარი) 53%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (19 391.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (34 292.4 ათასი ლარი) 56.6%; სასჯელალსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 30 839.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (44 996.7 ათასი ლარი) 68.5%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 485 959.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 257 931.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 53.1%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (28 413.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (23 811.6 ათასი ლარი) 119.3%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (7 074.4 ათასი ლარი), გეგმის (42 860.2 ათასი ლარი) 16.5% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 15 683.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 11 639.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 74.2%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 680.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 683.2 ათასი ლარი) 45.6%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 11 400.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 958.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.4%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 280 520.9 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (172 859.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 61.6%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (29 343.8 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (102 926.6 ათასი ლარი) 28.5%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 6 809.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 664.3 ათასი ლარი) 49.8%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 9 649.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 158.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 43.1%; გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 539.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 098.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 71.4%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრულია 4 813.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (1 851.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 38.4%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 224 333.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 104 747.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 46.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 4.9%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 13 805.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (7 153.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 51.8%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (27 303.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (48 676.7 ათასი ლარი) 56.1%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 12 640.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (39 500.6 ათასი ლარი) 32.0%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 57 483.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (114 178.3 ათასი ლარი) 50.4%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 51 452.0 ათასი ლარით, რაც 2011 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის – 83 263.9 ათასი ლარის 61.8%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (11 796.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (19 379.2 ათასი ლარი) 60.9%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (15 234.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (28 324.4 ათასი ლარი) 53.8%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 33 192.4 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (22 842.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 68.8%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 578.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 368.0 ათასი ლარი) 66.7%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2011 წლის ექვსი თვის განსაზღვრულია 303 964.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 220 931.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 10.3%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 175 073.4 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (204 233.4 ათასი ლარი) 85.7%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 18 000.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (37 435.2 ათასი ლარი) 48.1%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები განათლების სფეროში დაფინანსდა 16 298.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (32 890.6 ათასი ლარი) 49.6%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2011 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 747 289.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 489 568.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 22.8%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 2 621.3 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (5 418.1 ათასი ლარი) 48.4%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 466 446.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 320 014.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 68.6%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 75 353.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (116 129.7 ათასი ლარი) 64.9%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 28 453.5 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (79 280.1 ათასი ლარი) 35.9%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 62 850.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (73 274.9 ათასი ლარი) 85.8%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 61 შემთხვევაში შეადგინა 13 616.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12 657.4 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2011 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგინა 958.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 30 შემთხვევაში შეადგინა 18 092.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17 683.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2011 წლის პირველი მაისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 409.5 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 20 შემთხვევაში შეადგინა 55 455.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 42 963.1 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2011 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგინა 12 492.8 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 15 599.6 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 9 624.9 ათასი ლარი, „გრანტების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 760.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 760.0 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 8 651.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 7 392.7 ათასი ლარი. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 600.1 ათასი ლარი. აქედან: იუსტიციის სამინისტროს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოეყო 24.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი –

24.6 ათასი ლარი); სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს – 875.3 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 875.0 ათასი ლარი), ხოლო აუთვისებელი დარჩა 3 600.1 ათასი ლარი.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 000.0 ათასი ლარი. აქედან: „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში“ „ვალდებულებების კლების“ მუხლით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოეყო 197.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 197.4 ათასი ლარი), „სხვა ხარჯების“ მუხლით – 52.1 ათასი ლარი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით „გრანტის“ მუხლით გამოეყო 760.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 760.0 ათასი ლარი), ხოლო აუთვისებელი დარჩა 990.5 ათასი ლარი.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა ხარჯი (გეგმა – 1 260.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 135.4 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიძღრა 7 259.6 ათასი ლარი (გეგმა – 8 500.0 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დასაფინანსებლად მიიძღრა 2.9 ათასი ლარი (გეგმა – 2.9 ათასი ლარი); საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიძღრა 2.4 ათასი ლარი (გეგმა – 2.4 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიძღრა – 49.2 ათასი ლარი (გეგმა – 49.2 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 132.3 ათასი ლარი (გეგმა – 150.0 ათასი ლარი); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დასაფინანსებლად მიიძღრა – 873.6 ათასი ლარი (გეგმა – 932.2 ათასი ლარი); სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიძღრა – 22.6 ათასი ლარი (გეგმა – 22.6 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიძღრა 3.7 ათასი ლარი (გეგმა – 3.7 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დასაფინანსებლად მიიძღრა 47.8 ათასი ლარი (გეგმა – 47.8 ათასი ლარი); საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიძღრა – 14.8 ათასი ლარი (გეგმა – 14.8 ათასი ლარი); საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიძღრა – 3.0 ათასი ლარი (გეგმა – 3.0 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიძღრა – 24.6 ათასი ლარი (გეგმა – 24.6 ათასი ლარი); სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიძღრა – 3.7 ათასი ლარი (გეგმა – 4.0 ათასი ლარი); პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურის დასაფინანსებლად მიიძღრა – 31.8 ათასი ლარი (გეგმა – 31.8 ათასი ლარი);

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 3.3 ათასი ლარი (გეგმა – 3.3 ათასი ლარი); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 6.9 ათასი ლარი (გეგმა – 6.9 ათასი ლარი); საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას“ დასაფინანსებლად მიიმართა – 5.4 ათასი ლარი (გეგმა – 5.4 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 47.6 ათასი ლარი (გეგმა – 93.0 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის” ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 875.0 ათასი ლარი (გეგმა – 875.0 ათასი ლარი), რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდეზე.

2011 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.